საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის პრევენცია საჯარო სამსახურში

საკანონმდებლო წინადადებები

ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტო

- კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანი და კოორდინირებული ბრძოლის ხელშეწყობის და საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციის მიზნით იქმნება ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

- იქმნება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კოურფციის შესახებ“ კანონში ცვლილების საფუძველზე

- სააგენტოს ამოცანები, უფლებამოსილებები და ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრება ამავე კანონით და სააგენტოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი

სააგენტოს ამოცანები

- თანამდებობის პირების მიერ საჯარო სამსახურში კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის მიზნით კანონით დადგენილი ნორმების შესრულების უზრუნველყოფა.

- საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საჯარო უწყებების საქმიანობის გაუმჯობესება კორუფციის პრევენციის კუთხით. ზოგადი ანტიკორუფციული პოლიტიკის კოორდინირება.

- საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიერ საქართველოს საერთაშორისო ანტიკორუფციული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა.

- საერთაშორისო ანტიკორუფციული ორგანიზაციებისა და მექანიზმების ფარგლებში თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

სააგენტოს უფლებამოსილებები

- თანამდებობის პირის მიერ საჯარო სამსახურში კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის პრევენციის მიზნით კანონით დადგენილი ნორმების შესრულების შემოწმება, შემოწმების საფუძველზე დასკვნის მომზადება და გამოქვეყნება

- თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების შემოწმება, ხოლო დარღვევის აღმოჩენისას კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება

- თანამდებობის პირის მიმართ კანონით დადგენილი სანქციების გატარება
- დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, მასალების გადაგზავნა საგამოძიებო ორგანოებისთვის შემდგომი რეაგირების მიზნით

სააგენტოს უფლებამოსილებები

- კორუფციის პრევენციის კუთხით საქართველოს კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით საკანონმდებლო წინადადებების მომზადება და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა
- კორუფციის პრევენციის კუთხით საჯარო უწყებების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების მომზადება და გამოქვეყნება
- საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება, პერიოდული განახლება და შესრულების მონიტორინგი
- თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებთან საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციის მიზნით.

სააგენტოს დამოუკიდებლობის გარანტიები

- სააგენტოს თავმჯდომარის დანიშვნის წესი
  - კანდიდატი შეირჩევა ღია კონკურსით
  - საკონკურსო კომისიაში შედიან პარლამენტის, მთავრობის, სასამართლო ხელისუფლების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები
  - კომისიის მიერ შერჩეულ კანდიდატს ამტკიცებს პარლამენტი (ხუთი წლის ვადით)

- სააგენტოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი
  - თავმდჯომარის ვადამდე გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში

- სააგენტოს თავმჯდომარის თანამდებობრივი შეუთავსებლობის მარეგულირებელი ნორმები

სააგენტოს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

- სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მისი გადაწყვეტილებები საჯაროა.
- სააგენტო საქართველოს პარლამენტს ყოველწლიურად წარუდგენს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს.
- სააგენტოს საქმიანობის აუდიტს ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.
- სააგენტო უფლებამოსილია თავის საქმიანობაში ჩართოს კორუფციის პრევენციის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

საკრებულოს წევრის ეკონომიკური ინტერესების დეკლარაცია

- მოქმედი კანონის თანახმად, საკრებულოს წევრებს (გარდა თავმჯდომარეების, თავმჯდომარეების მოადგილეების, მდივნების და კომისიების თავმჯდომარეებისა) არ ევალებათ ქონებრივი დეკლარაციების შევსება
- შემოთავაზებული ცვლილებებით იქმნება სპეციალური მექანიზმი: საკრებულოს წევრის ეკონომიკური ინტერესტების დეკლარაცია
- საკრებულოს წევრის ეკონომიკური ინტერესების დეკლარაციაში აისახება საკრებულოს წევრისა და მისი ოჯახის წევრების კავშირები კერძო სექტორის ორგანიზაციებთან

ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია მარეგულირებელ ორგანოებში

- მარეგულირებელ კომისიაში თანამდებობის დატოვების შემდეგ, კომისიის წევრს (1 წლის განმავლობაში) და კომისიის აპარატის მმართველ თანამდებობაზე მომუშავე პირს (6 თვის განმავლობაში) ეკრძალებათ საქმიანი კავშირი (ანაზღაურებადი საქმიანობა, წილის ფლობა და ა.შ.) იმ კომპანიებთან, რომელთა საქმიანობას კომისია არეგულირებს

- აღნიშნული შეზღუდვის მოქმედების პერიოდში მათ ენიშნება კომპენსაცია ხელფასის ერთი მესამედის ოდენობით

ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია მარეგულირებელ ორგანოებში

- კომისიის წევრი არ უნდა აწორციელებდეს სხვა ისეთ საქმიანობას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის მიუკერძოებლობაზე და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დამოუკიდებლობაზე

- იმ ეკონომიკურ აგენტთან კავშირის არსებობის შემთხვევაში, რომლის საქმეც განიხილება კომისიაში, კომისიის წევრმა დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

- ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული ნორმების დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრებათ კომისიების რეგულირების სფეროში მოქმედ კომპანიებსაც